ცნობის ფურცელი

№ 1942 ხუთშაბათი, 3 ოქტომბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1942

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოეგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

5 ოქტომბერს, 1902 წ., საღამოს
8 საათზე დანიშნულია

საზოგადო კრება

წიგნების გამომცემელ
ქართველთა ამხანაგობისა

განსახილველად დანიშნულია:

1. წარსული წლების ანგარიშები;
2. ამხანაგობის პირობის ზოგიერთ მუხლების გადასინჯვა.

კრება იქმნება ამხანაგობის სადგომში, ვანქის დიდ ქუჩაზე. (3—3)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
ბედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. ჰ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფებისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

დ. ა. ბედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 9—11.

პ. ვ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ბ. ზ. მალალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვგინამვილისა, № 21. (აგზალის ქუჩის დასაწყისში).
ტელეფონი № 274.

წარმოდგენა 2 ტელეფონი 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 3 ოქტომბერს 1902 წელს
ქართულ დრამატიულ დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
ორი პიესა

I

ცოლს ვეყრები

კომ. 3 მოქ. სარდუდან გადმოკ. ვ. აბაშიძის მიერ

II

მელაძე ადვოკატი

ფარსი 2 მოქ. ფრანგ. გადმოკ. ივ. მაჩაბლის მიერ

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რონელი & სხვ.; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ლანდი, კ. შათირიშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი: ლოჟები 6 მანეთიდან 10 მანეთამდე, პარტერი 70 კ-დან 3 მ.-მდე, ამფითეატრი 80 კ.-დან 1 მ. 50 კ-მდე, გალერეა 25 კ-დან 45 კ-მდე. შეგირდებისთვის ადგილები პარტერში 60 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად კვირა დილისათვის „ორი ობოლი“ (ფასები დაკლებულია)

რეჟისორი ვ. გუნია.

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და სხვა სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

კავკ. საიუბ. გამოფენის დროს ოქროს მედლით დაჯილდოვებული ამხანაგობა

„შრომა“

ჰყიდის ხე-ხილის ხეებს თავისს სანერგეებიდან,

მსურველთ უნდა მიჰმართონ ლაგოდეხში კ. თ. აფრიკიანცს.

კატალოგები უსასყიდლოდ ეგზავნებათ მსურველთ. (26—11)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. ზოლას გადაცვალების შემდეგ სოციალისტურმა გაზეთმა „ლანტერნ“-მა დასწერა: დიდებული რომანისტი და დიდებული მოქალაქე ისე უნდა დავასაფლავოთ, როგორც საფრანგეთის დემოკრატიას შეეფერებაო. სწორედ ასეც დაუსაფლავებიათ ზოლა. „პეტერბ. ვედომოსტ“-ის პარიზელი კორესპონდენტი ასე აწერს ზოლას დასაფლავებას:

„ზოგიერთ დიდებულ მანიფესტაციის აღწერა სწორედ შეუძლებელია. ზოლას დასაფლავების დღეს პარიზში ხალხმა ისეთი დიდებული მანიფესტაცია მოახდინა, რომ ამ მანიფესტაციის აღწერას მარტო თითონ ზოლა მოახერხებდა. ზოლა კუბოში იწვა მკვდარი, იმის გარშემო-კი მთელი პარიზი გაცოცხლდა და რეალური სახე მიიღო ყველამ, რასაც ზოლა გვიხატავდა თავისს ურიცხვ რომანებში.

ზოლას დასაფლავება დიდებული სანახავი იყო სწორედ, თანაც განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა ამ დასაფლავებას: არც ზარის რეკა, არც სამგლოვიარო მუსიკა, არც ოფიციალური გლოვა... ურიცხვი ხალხი პარიზის ქუჩებში მშვიდობიანად და წყნარად დროს ელოდებოდა, რომ დიდებულ მწერლის კუბო სასაფლაომდე მიესვენებინა.

დილის ათის საათიდანვე ყველა დელეგაციები უბან-უბან შეიკრიბნენ, მერე წყნარად აუჩქარებლივ ბლანშისა და შატოლენის მეიდნებზე ჯგუფ-ჯგუფად მოიყარეს თავი. თითო ჯგუფში 300-400 კაცი იყო. ყოველ ჯგუფს ორ-ორი შავებში შემოსილი ყმაწვილი მიუძღოდა; ყმაწვილებს ზედ წითელი ნიშანი ჰქონდათ გაკეთებული და ხელში ყვავილების გვირგვინი ეჭირათ.

შუადღის 12 საათზე იმ ქუჩაზე, სადაც ზოლა იდგა, გარდაცვალებულის ოჯახისგან მიწვეული ხალხი შეიკრიბა. პრესსის წარმომადგენლებიც აქ შეიყარნენ. გარშემო ქუჩები, ვიდრე მონმარტრის სასაფლაომდე, სულ ხალხმა დაიჭირა. ყველა დელეგაციები წინადვე დანიშნულ ადგილებზე რიგზე გამწკრივდნენ. „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დამცველ ლიგის“ დელეგაციამ მოიტანა ვეება გვირგვინი ყვავილებისა; ზედ ეწერა: „დიდებულ მოქალაქეს ემილ ზოლას ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დამცველ ლიგისაგან“. სოციალისტების ყველა ფრაქციებიც რიგზე გამწკრივებულნი მოვიდნენ და წითელ ყვავილების გვირგვინი მოიტანეს. გვირგვინზე დიდებულ მწერლის სახელი ეწერა. ცალკე კიდევ რამდენიმე ათი ათასი მუშა მოვიდა, წინ დიდი გვირგვინი მოჰქონდათ, ზედ ეწერა სიტყვა „შრომა“. ამ ჯგუფებს მოუძღოდნენ ისეთი მოღვაწეები, როგორიც ჟან ჟორესი, ფურნიე და სხვ. ამათ მოსდევდნენ „შრომის ბირჟის“ დელეგატები. ამათაც გვირგვინი მოჰქონდათ, ზედ ეწერა: „ქვა-ნახშირის მადნის მუშები“, „შრომა“, „სიმართლე“. დელეგაციები იმდენი იყო, რომ ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. მეტად მრავალი გვირგვინი მოვიდა: ალფრედ დრეიფუსისა, დრეიფუსის სახლობისა, ფრანგ სტუდენტთა საზოგადოებისა, უცხოეთის პრესსის წარმომადგენელთა, ანტუანის თეატრისა, წიგნის მაღაზიებში მოსამსახურეთა, რუსის ახალგაზდობისაგან და სხვა-და-სხვ. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია.

ნაშუადღევის 1 საათზე, ეს აურებელი ხალხი საკვირველის წესითა და რიგით განსვენებულის სადგომისაკენ გაემართა. სანამ კუბოს გამოასვენებდნენ, სახლის კარების წინ, ერთი ბატალიონი ქვეითა ჯარი გამწკრივდა, რომ საფრანგეთისა და მთელის ქვეყნიერების მწერლისათვის სამხედრო პატივი მიეცათ.

გაისმა დალაბანდის სამწუხარო, გულის მომკვლელი ხმა. ემილ ზოლას კუბო გამოასვენეს. ხალხში ჩუმი და გულითად მწუხარებით სავსე ამოოხვრა გაისმა და ხელადვე მისწყდა... კუბო კატაფალკზე დაასვენეს. ყველა მინისტრების წარმომადგენლები და განსვენებულის მეგობრები კუბოს გარშემო შემოეხვივნენ; იქ იყვნენ: მწერალთა საზოგადოების თავმჯდომარე აბელ ჰერმანი, წიგნების გამომცემელი ჟორჟ შარპანტიე, ცნობილი მწერალი ოკტავ მირბო და მრავალი სხვანი. კუბოს, სხვათა შორის, ალფრედ დრეიფუსიც მისდევდა. ერთი რიგი ხალხი ქუჩის ორსავ მხარეს იდგა, მეორე რიგი კიდევ კუბოს გაჰყვა. განსვენებულის კუბო მონმარტრის სასაფლაოზე დაკრძალეს. დასაფლავების დროს საკვირველი წესი და რიგი ჰსუფევდა“.

◆ ჰავასის სააგენტო იუწყება, სახალხო სკოლებში სწავლა ყველგან მშვიდობიანად დაიწყო, პროტესტი არავის არ გამოუცხადებია, თუმცა-კი სამღვდელოება ძალას ატანდა მშობლებს, თქვენ ბავშვებს სკოლებში ნუ გაჰგზავნითო.

◆ ფინისტერის დეპარტამენტის დეპუტატმა ბატი გეირომ წერილი მისწერა კომბსა: ნება არა გქონდათ ბრეტონულ ენაზე კატეხიზმოს სწავლება აგეკრძალათო. ამაზე დეპუტატთა პალატაშიაც დაგეკითხებითო.

ფელეტონი

მოხელე, თავადი, ოფიცერი, ყაჩაღი და კავკასია

(И. Н. Канадѣевъ. Очерки Закавказ. жизни. т. I. С. П. Б.).

ბ-ნ კანადეევს დიდი ყურადღება მიუქცევია ჩვენთვის: კარგი მოზრდილი ტომი დაუსტამბავს ამიერ კავკასიის შესახებ და კიდევ გვპირდება სხვა წერილების გამოცემასაც. სასიამოვნო განზრახვაა; ყოველთვის საინტერესოა ჩვენთვის ჩვენის ქვეყნის შესახებ გამოთქმული აზრები, მით უმეტეს, რომ ბ. კანადეევი ეხება ჩვენის ცხოვრების საჭირ-ბოროტო კითხვებს.

ძველი ამბავია, რომ საზოგადოდ კავკასელი ერები ძლიერ სუსტად ვიცნობთ ჩვენს მხარეს; არ ვიცნობთ არამც თუ ჩვენის ხალხის ეკონომიურს მდგომარეობას, მის გაჭირვებას, ზნე-ჩვეულებებს, მოთხოვნილებას, წყურვილს,—ჩვენ გეოგრაფიულადაც არ შეგვისწავლია ჩვენი ქვეყანა: სად როგორი მდებარეობა და ბუნებაა, სად ვინ სცხოვრობს? ამიტომ სრულებით ნება არა გვაქვს ვუსაყვედუროთ უცხო ხალხს, რისთვის არ გვიცნობთო.

მართალია, საკუთარის თავის დანახვა ხშირად ძნელია და უცხოელს უფრო შეუძლია შეისწავლოს რომელისამე ერის მდგომარეობის ზოგიერთა მხარეები, მაგრამ ამისთვის საჭიროა ძალიანი დაახლოვება ხალხთან. ამ მხრივ (როგორც ეტყობა ჯერ-ჯერობით) ბ. კანადეევი თუმცა, სხვებთან შედარებით, ჩვენი კეთილის მყოფელია, მაინც კარგად ვერ გავუცნივართ და თუ გავუცნივართ, რაღაც გარეშე მოსაზრებას ეს გაცნობა გადაუსხვაფერებია, შეიძლება თვითონ ბ. კანადეევის უნებურადაც.

ბ-ნი კანადეევი ამბობს, ოცი წელიწადი ვმსახურობდი კავკასიაშიო, სხვა-და-სხვა ალაგას ვყოფილვარ, ბევრს ვისმესთან მქონია საქმე და საუბარიო. მის სიტყვებიდანვე სჩანს, რომ აქ მხოლოდ განსაზღვრულის წრის ნაცნობები ჰყოლია, რაიც განსაკუთრებულს ელფერს აძლევს მისს წერილებს.

ბ. კანადეევს გამოჰყავს სომეხი—მოხელე, ქართველი თავადი, ოსმალო—ოფიცერი, „განათლებული“ სპარსელი, ნაყაჩაღარი და პოლიციაში მოსამსახურე თათარი, კავკასელი რუსი-მოხელე, ალაპარაკებს მათ და მათის ენით ახასიათებს ჩვენს ცხოვრებას, ხატავს ჩვენს გაჭირვებას-დალხინებას*). ჩვენც ყური უნდა დავუგდოთ ბ. კანადეევის გმირებს.

სომეხი-მოხელე წინათ თურმე ნამდვილის რუსის გვარს და სახელს ატარებდა, მაგრამ კვლავ გადაასომხურა გვარი მას შემდეგ, რაც სომხებს შევიწროვება დაუწყეს. წინად სომხობა და სომხური არაფერი არ აინტერესებდა, ეხლა კი სომხის პატრიოტია (რასაკვირველია, თავისებური!), ბეჯითად უმტკიცებს რუსის ავტორს, რომ სომხები ძლიერ ერთგულნი ქვეშევრდომნი არიან რუსეთისა და ოსმალეთის სომხებიც სულით და გულით მოწადინებულნი არიან რუსეთთან შეერთებას; სომხის რევოლუციონერებს არავითარი გავლენა არა აქვთ ხალხშიო. სომხები, როგორც სხვა კავკასიელები, ძლიერ ცდილობენ რუსეთთან შესისხლხორცებას, თუმცა იმ პირობით-კი, რომ ჩვენ დავიცვათ ჩვენი ენა და სარწმუნოება. მაგრამ, უნდა დავუმატო ამას, განაგრძობს სომეხი მოხელე: ადრე თუ გვიან ენასაც დავკარგავთ სომხები და სარწმუნოებასაც და ყველაფერში გავერთდებით სომხები და რუსებიო. რუსეთმა კავკასია არ უნდა შეავიწროვოს, კავკასიელები ისეც გარუსდებიან, მაგრამ სულ სხვა არიანო, მაგ. პოლონელები, რომლების გარუსება მათის ისტორიულის წარსულისა და კულტურისა გამო მეტად ძნელი საქმეა, თუ მთავრობის ზომები არ იქმნა მიღებულიო. განსაკუთრებით აქებს სომეხი-მოხელე სომეხ-მოხელეებს საზოგადოთ, რომლებიც თავის ზნეობრივ ღირსებით არ ჩამოუვარდებიან ნამდვილ რუსებს და ერთგულნი და უანგარო მოსამსახურენი არიანო. ყველა კიცხავს სომხის ვაჭრებსო, მაგრამ სომხის ვაჭრები არც თვითონ სომხებს უყვართ, და სომხები მარტო ვაჭრები ხომ არ არიანო; ყოველს შემთხვევაში სომეხ-ვაჭარსაც თავისი ღირსება აქვს—შრომა, მომჭირნეობა, ენერგია, მაგრამ ამ სომეხ-ვაჭარსაც ბოლო მოეღება, როდესაც კავკასია რუსეთს

---

*) ავტორი ამბობს: ჩემი გამოყვანილი პირები ნამდვილი პირები კი არ არიან, ისინი გამოხატავენ მთელის ჯგუფის და წრის აზრსა და შეხედულობასაო. მაგრამ მით უკეთესი (თუ უარესი?): სომეხი-მოხელე არის გამომხატველი სომეხ-მოხელეების წრის აზრებისა, ქართველი თავადი—ქართველ თავადებისა და სხვ.

◆ პა-დე-კალეს ქვა-ნახშირის მადნებში მუშაობა აღარა სწარმოებს. ამბობენ, მუშაობაზე 20 ათას კაცამდე აიღო ხელიო. მთამადნის მუშების საბჭომ მანიფესტი გამოსცა და ურჩია ყველას, წესიერად და დინჯად მოიქეცითო. საბჭო დანარჩენ ხალხსაც სთხოვს, მონაწილეობა მიიღეთ ამ საქმეში და თქვენი ამხანაგების პირი დაიჭირეთო. ჩრდილოეთ დეპარტამენტში, აზინკურის მადნებშიაც დაუდგენიათ, პა-დე-კალეს მუშებს მივემხრნეთო.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 2 ოქტომბერს, საღამოს, ბათომს ჩამოვიდა მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა **მინისტრი ბ-ნი ერმოლოვი**. დღეს ჩაქვას დაათვალიერებს.

◆ 5 ან 6 ოქტომბერს ბაქო-ბალაჯრის გზით ტფილისში **ჩამოვა გზათა მინისტრი თავ. ხილკოვი.**

◆ 1 ოქტომბერს გზათა **მინისტრის ამხანაგმა** ბ-ნმა ერმოლოვმა, ბაქოში მიმავალმა, ტფილისზე გაიარა.

◆ ერევნიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ 30 სექტემბერს იქ ჩასულა **საქართველოს ეგზარხოსი.** 1 ოქტომბერს ეგზარხოსს წირვა გარდაუხდია, შემდეგ ახლად აგებული ტაძარი დაუთვალიერებია, მერე სასწავლებლებშიაც ყოფილა. დღეს ეგზარხოსი ეჩმიაძინს მიდის, სომხ-გრიგორიანთა პატრიარქ-კათალიკოსის სანახავად.

◆ ტფილისის გუბერნიის რამდენსამე **სოფლის საზოგადოებას უთხოვნია** მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულისათვის კავკასიაში: ვიაითგან სახაზინო მიწები, რომელიც ამ ჟამად ჩვენა გვაქვს ხელში, არ გვყოფნის, განკარგულება მოახდინეთ მოგვიჭრა და იჯარით მოგვცენ კიდევ ის სახელმწიფო ადგილები, რომელსაც დღეს ხაზინა ვაჭრობით იძლევა სხვებზეო. ამ ადგილებს სოფლის საზოგადოებანი უვაჭროთ ითხოვენ, იმიტომ რომ, ვაჭრობა თუ გაიმართა, ისევ ჩარჩებს ჩაუვარდებათ ხელში სახაზინო ადგილები და მერე ერთი ორ ფასად, ან სამ ფასად ჩვენ უნდა მოგვცენო.

◆ საქარხნო ინსპექტორებისათვის ფინანსთა სამინისტროს დაუვალებია, **თვალ-ყური ადევნეთ** ქარხნებსა და ფაბრიკებში მუშების სანიტარულ მდგომარეობასო. მუშების სადგომები უთუოდ ისეთი უნდა იყოს, როგორადაც ეს კანონით დაწესებულია ქარხნებისათვისო.

◆ „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ" საზოგადოების გამგეობაში ლაპარაკი აღიძრა ხალხისათვის **იაფ-ფასიან წიგნების გამოცემის** შესახებ. 30 ოქტომბრის სხდომაზედ გამგეობამ გადასწყვიტა კიდეც შეუდგეს თავის ხარჯით ისეთ წიგნაკების გამოცემას, რომელნიც, როგორც შინაარსისა, ისე ფასის მხრივ ყველასათვის ხელ-მისაწდომი იყოს. თავისს გამოცემებისათვის გამგეობა ისარგებლებს, როგორც ჩვენის, ისე უცხოელთა მწერლების ნაწარმოებით. ამავე სხდომაზედ ლაპარაკი ჩამოვარდა ზეპირ-სიტყვაობის შეკრების შესახებ. გამგეობამ გადასწყვიტა, განსაკუთრებული სხდომა მოხდეს ამ საქმისათვის.

◆ 23-26 სექტემბერს განჯაში სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე ყარა-მაჰმად-ოღლისა, რომელსაც ქურდობანი და მკვლელობანი ჰბრალდებოდა. ამ საქმის გამო 50 მოწმეს ჩამოართვეს ჩვენება. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ყარა-მაჰმედ ოღლი და **ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.**

◆ **ნაძალადევის რამდენიმე მცხოვრები** სთხოვს ქალაქის გამგეობას, ქალაქის საიჯარო მიწებზე დანიშნული გარდასახადი, საჟენზე ხუთი შაური, მეტად მძიმე გადასახადია ჩვენთვის და დაუკლეთ იმ კვალობაზე, რა ფასიც ჩვენს მიწებს ჰქონდეს იმ უბანშიო.

◆ გუშინ უნდა მომხდარიყო იმ კომისიის კრება, რომელსაც დავალებული აქვს ქალაქის **სკოლათა გამგე კომიტეტის არსებობის საქმე** გამოიკვლიოს. ამ კომისიაში მოწვეულნი არიან კერძო ნაფიცი ვექილები ბბ-ნნი შევალიე, ჩემესოვი და ქალანთაროვი; ამათ უნდა წარმოედგინათ დასაბუთებული მოხსენება ამ საქმის შესახებ, მაგრამ გუშინ გამოუცხადებიათ ქალაქის მოურავის მოადგილესათვის: ჩვენზე მონდობილი საქმე მძიმეა და ფრთხილად გამოკვლევას მოითხოვს, ჯერ ვერ მოვასწარით ამ საქმის კარგად შესწავლა და გთხოვთ, ჩვენი მოხსენების ვადა გაგვიგრძელოთო. კომისიის კრება სხვა დროისათვის გადაიდო.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს **ბლომად მოსდის თურმე მოსწავლეთაგან სათხოვარი**, უმაღლესს სასწავლებელში თავისუფალი სტიპენდია დაგვინიშნეთო. მზრუნველს ყველა უმაღლესს სასწავლებლისათვის მიუმართავს, შეგვატყობინეთ რამდენია კავკასიელთათვის თავისუფალი სტიპენდიაო.

◆ 1 ოქტომბერს ტფილისის საკრედიტო საზოგადოების რწმუნებულთა **საგანგებო კრება მოხდა** ი. ა. თაიროვის თავმჯდომარეობით. პირველად კრებამ განიხილა საზოგადოების ადმინისტრაციის მოხსენება რწმუნებულთა არჩევანების შესახებ, რომელიც მომავალ დეკემბერს უნდა მოხდეს. ადმინისტრაციას უკვე შეუდგენია სია ამომრჩეველთა. ამ სიაში მოქცეულნი არიან ყველა ისინი, ვისაც ხსენებულ საზოგადოებაში 20 სექტემბერამდე მამული დაუგირავებია. ვინც 20 სექტემბრის შემდეგ დააგირავა, იმათ ხმის უფლება არ ექნებათ, თუმცა შეუძლიანთ რწმუნებულად არჩეულ იქმნენ. კრებამ დაამტკიცა ეს მოხსენება.

შემდეგ განიხილეს ადმინისტრაციისავე მოხსენება დამატებით ფულის გადადების შესახებ საზოგადოების შენობისათვის. ადმინისტრაცია, წინად გადადებულ 210 ათას მანეთის გარდა, თხოულობდა 10,800 მანეთს. კრებამ მიიღო ეს წინადადება. კრებამ შეიწყნარა აგრეთვე ადმინისტრაციის თხოვნა 2500 მანეთის გადადების შესახებ. ეს ფული მებელის შესაძენად და ოთახების მოსაწყობად არის საჭირო. აზრადა აქვთ საზოგადოების სადგომი მდიდრულად მოაწყონ. წინად ამ საქმისათვის გადადებული იყო 4000 მანეთი. მერე კრებამ დაავალა ადმინისტრაციას მომავალ კრებისათვის შეადგინოს მოხსენება სადგომის ელექტრონით განათების შესახებ. დასასრულ ლაპარაკი ჩამოვარდა იმ რწმუნების ქაღალდების შესახებ, რომელიც არჩევნებში მონაწილეობისთვის არის საჭირო. ზოგის აზრით, საჭიროა ეს ქაღალდები შეამოწმოს ხოლმე ან ნოტარიუსმა, ან პოლიციამ, ან კიდევ საზოგადოების ადმინისტრაციამ. თავმჯდომარემ კრება დახურა და კერძო კრება მოახდინა ამ საგნის განსახილველად.

◆ ტფილისის ქალაქის **საბჭოს კრება** დღეისთვის არის დანიშნული, რადგან ორშაბათს, 30 სექტემბერს, არ შესდგა საბჭომ სულ 28 საქმე უნდა განიხილოს.

◆ საგუბერნიო მთავრობას ამ ბოლოს დროს თურმე ბლომად მოსდის **ოსმალეთის ქვეშევრდომ სომეხთაგან** სათხოვარი, რუსეთის ქვეშევრდომად მიგვიღეთო.

◆ კავკასიაში საექიმო ნაწილის სამართველოს შემუშავებული აქვს **შეშლილთა სავადმყოფო სახლის** ასაგები პროექტი. ცალკე კომისიაცაა ამ საქმის მცოდნე ექიმებისაგან შედგენილი, რომ ადგილი ამოერჩია, სად გაიმართოს კავკასიის აქეთა მხრისათვის საერთო სახლი შეშლილებისა, მაგრამ ამ კომისიას ჯერაც ვერ ამოურჩევია. ასეც რომ არ იყოს, სახლის ასაგები და გამართვა-მოწყობისათვის საკმაო ფული ჯერ არა აქვს ხელთ საექიმო უწყებას. ამიტომ განუზრახავთ, ტფილისში არსებული შეშლილთა სახლი იმდენად მაინც გააფართოვონ, რომ ეხლანდელ ავადმყოფებსაც შეღავათი მისცეს და რამდენიმეც ახალი ავადმყოფი მიიღონ ამ სახლში.

◆ „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ საზოგადოების სკოლაში სოფ. თონეთში არის განთავისუფლებული **მასწავლებლის ადგილი** და, თუ ვისმეს ჰსურს თონეთის მასწავლებლობა, მიჰმართოს გამგეობის მდივანს.

◆ ქალაქის **ქუჩების საუკეთესოდ მოკირწყვლის** გამგე მცირე კომისიას უანგარიშნია, რამდენის სივრცისა უნდა გამოვიდეს ის 42 ქუჩა, რომელიც უნდა მოიკირწყლოს. ქალაქის ხარჯით მოსაკირწყლავი იქმნება 24.376,76 ოთხკ.-საჟ. და ტრამვაის უსახელო საზოგადოების ხარჯით—9.298,2 ოთხკ. საჟ., სულ—33.674,78 ოთხკ. საჟ.

◆ ქალაქის სავალდებულო დადგენილებათა ძალით, **სახლის პატრონი** მოვალეა თავისს სახლის წინ ქვა-ფენილი გააკეთოს და გაკეთებულიც, როცა გაფუჭდება—შეაკეთოს. ვინც ამას არ აასრულებს, გამგეობა უჩივის და სასამართლოდან „ლისტი" გამოაქვს. ამისთანა „ლისტები" თურმე აუარებელი რიცხვია გამგეობის კანცელარიაში და იმის სისრულეში მოყვანას არც უფიქრიათ. პოლიცმეისტერი სთხოვს ქალაქს, გამომიგზავნეთ ის „ლისტები" და მე გადავახდევინებ სახლის პატრონებს სასამართლოსაგან გადაწყვეტილ გადასახადსა და ქვა-ფენილებსაც გავაკეთებინებთო.

◆ ამ სამის დღის წინად ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე სიღნაღის მოქალაქის მიხეილ რომანოზის ძის ყაზაროვისა. ყაზაროვი 1894 წლიდან 1897 წლამდე კომისიონერად ყოფილა მოსკოვის სავაჭრო ფირმის „გ. ს. პოპოვისა და ოდესისა—მ. ი. გოლზვილინსკისა", რომელნიც ჩაით ვაჭრობენ. 1895 წელს ყაზაროვს შეუდგენია ყალბი თამასუქი, წარუდგენია იგი ბედ სავაჭრო ფირმისათვის და გამოუწერია 12 ყუთი ჩაი, სულ 825 მანეთისა, რომელიც გაუყიდნია და თავის სასარგებლოდ მოუხმარნია. 1895 წელსვე მოქცეულა ასე და ორის ყალბ თამასუქით გამოუტანია ჩაი. მერე ყაზაროვს სხვა ხერხი უხმარია. ვიღაც მახლინაროვის სახელზე გამოუწერია პოპოვისაგან 467 მან. 66 კაპ. ჩაი, რომელიც გაუყიდნია და თავის სასარგებლოდვე მოუხმარებია. ამ შემთხვევაშიაც ყალბი თამასუქი წარუდგენია. სასამართლოში ამ საქმის გარჩევის დროს დაბარებული იყო 30 მოწმე, რის გამოც საქმის განხილვამ ორს დღეს გასტანა. სასამართლომ 28 სექტემბერს გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იცნო ყაზაროვი და გადაუწყვიტა ყოველისავე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და ერთის წლით საპყრობილეში დაპატიმრება.

◆ 1 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, მცხეთაში შემდეგი უბედურება მომხდარა: დღესასწაულზე ყოფილა, სხვათა შორის, ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის სტამბის ასოთ-ამწყობი კანდიბაროვი. ტფილისში დაბრუნებისას ბევრს ჰგონებია, რომ პირველად ბათუმიდან მოსული მატარებელი დაიძრებაო, ამიტომ იმაზედ ასულან და, რადგანაც ადგილი ველარ უშოვნიათ, ვაგონების სახურავზე შეცოცებულან. ამ დროს დაძრულა მცხეთიდან ტფილისში მომავალი მატარებელი და ხალხი ბათუმის მატარებლიდან გადმომხტარა. ამ დროს კანდიბაროვი მატარებლის ქვეშ ჩავარდნილა და მატარებელს იმისთვის ორივე ფეხი მოუტეხნია. კანდიბაროვი გრძნობა დაკარგული მიხეილის სამკურნალოში გამოუგზავნიათ, სადაც იგი გუშინ გარდაცვლილა.

◆ ტრამვაის გზების მეთვალყურე კომისიას გადაუწყვეტია ბეითალთან ერთად გასინჯოს უსახელო საზოგადოების ცხენები და გაიგოს, რამდენად გამოსადეგნი არიან ეს ცხენები ვაგონების ტარებისათვის. ამ გარდაწყვეტილების განხორციელება კომისიას მიუნდვია თავისის წევრის გრიქუროვისათვის.

◆ 2 ოქტომბრისთვის ტფილისის ქალაქის გამგეობაში დანიშნული საჯარო ვაჭრობა ნავთლუღში ქალაქის ნავთიან მიწების იჯარით გასაცემად არ შესდგა. ვაჭრობა გადაიდო სხვა დროისათვის.

◆ ამას წინად ტფილისის პოლიცმეისტერმა მისწერა ქალაქის გამგეობას, განკარგულება მოახდინეთ, რომ ქუჩებში ფარნები ენთოს ხოლმე ისეთ მთვარიან ღამეებშიაც, როცა ღრუბელი აფარია მთვარესაო. მოიჯარადრემ გუშინ ვრცელი მოხსენება წარუდგინა ქალაქის გამგეობას; მოხსენებაში სწერს, რომ შეუძლებელია იმის გაგება, როდის გადაეფარება და როდის არა ღრუბელი მთვარეს, ამიტომ უმჯობესია მეტი ფული გადავსცეთ და მთვარიან ღამეებშიაც გავანათოთ ქუჩებიო. ამის მიხედვით მოიჯარადრემ ქალაქის გამგეობას წარუდგინა ხარჯთ-აღრიცხვა. წლიწადში 292 ღამის გასანათებლად გადადებულია 20,222 მან., ფარნების შესაკეთებლად 4,020 მან. სულ 24242 მან., ხოლო რადგანაც 365 ღამის განათებას დასჭირდება 30,302 მან. 50 კაპ. ამიტომ მოიჯარადრე სთხოვს

შეურიგდება რკინის გზით და რუსეთის ვაჭრები გადმოვლენ კავკასიაში. სომხების მომავალზე კიდევ ამას ამბობს ჩვენი მოხელე: „ჩვენი შვილიშვილები ნახავენ, რომ სომხები თავის შრომის მოყვარეობით და გონებრივის ნიჭით გაუთანასწორდებიან მოწინავე ერებს, რასაც არ ითქმის სხვა კავკასიელებზე, განსაკუთრებით ქართველებზე". ერთი რამ კიდევ უნდა მოვიყვანოთ ჩვენის მოსაუბრის დასასრულებლად: იგი ამბობს, რომ ოსმალეთიდან გამოქცეული სომხები ისეთი ცუდი და უმადური ხალხია, რომ კავკასიელ სომხებმა სამადლობელი პარაკლისი გადაიხადეთ, როდესაც რუსეთის მთავრობამ უკან დააბრუნა ისინი ოსმალეთში...

ბ. კანდელევის ოსმალო უკანასკნელ რუსეთ-ოსმალეთის ომში იღებდა თურმე მონაწილეობას და თუმცა ეხლა რუსეთში ცხოვრობს, მაგრამ მისი სული და გული მაინც ოსმალეთისაკენა. გასაკვირველი არ არის, რომ ამ ოსმალომ კარგათ არ იცოდეს ჩვენი ცხოვრება. მისი გულის ტკივილი ისაა, რომ რუსეთის მთავრობა სამსახურში ღებულობს ადგილობრივ მცხოვრებლებს; სადაც სომეხია ან ქართველი მოხელე, იქ არც სამართალია, არც წესია, ამბობს. მე მგონია, რუსები შესანიშნავი კოლონიზატორები არიან, რომელთაც შეეძლოთ დაპყრობილი მხარე ნახევარ საუკუნეში ნამდვილ რუსეთად გადაექციათ, მაგრამ ეხლა ამიერ კავკასიას რომ ვუყურებდი, ვხედავ, რომ შევცდი. განსაკუთრებით ის სწყინს, რომ რუსეთი არ სდევნის სომხებს, რომლებიც არიან მოღალატენი და ორგულნი. სომხებზე ლაპარაკის დროს მოიგონებს ბ-ნ ვ. ველიჩკოს, რომელსაც უწოდებს „შესანიშნავის პუბლიცისტის სახელს. ბოლოს, როგორც ოსმალეთის პატრიოტი, რუსეთის და ოსმალეთის ურთიერთობის შეხებაც ამბობს: მართალია რუსეთი მუდამ ეომებოდა და ბევრი ადგილი წაართვა ოსმალეთსო, მაგრამ ოსმალეთის ნამდვილი მეგობარი იგია და სხვა არავინო. „ოსმალოებს გვიყვარს და ძალიან პატივსა ვცემთ რუსებსო, ერთი იმიტომ რომ თქვენ და ჩვენ ერთნაირი შეხედულობა გვაქვს უმაღლეს მთავრობის *) შესახებ, მეორე იმიტომ რომ ხასიათით ვგევართ ერთმანეთს". რუსეთი თუ ჩვენი მეგობარი იქნება, ჩვენ მას შავის ზღვის კარს დაუუსაკუთრებთო...

ქართველი თავადი განათლებული კაცია, მაგრამ წინამდეგ ჩვენის თავადებისა სოფლად ცხოვრობს და მეურნეობას მისდევს. ქალაქში არ ჩამოდის, არ ჩამოდის, სხვათა შორის, იმიტომ, რომ არ დაინახოს, თუ როგორ ილუპება თავად-აზნაურობა, რომელიც საოცარის სიჩქარით მიისწრაფის სრულის გათახსირებისაკენ ისე, რომ ახლო მომავალში სრულიად დაეკარგება მიწებრელობა ამ წოდებას, რომელსაც ოდესღაც პირველი ადგილი ეკავა ცხოვრებაში. სულ გაღარიბდა, გალატაკდა თავად-აზნაურობაო, ამბობს თავადი და ამას ბრალს ყველაზედ უწინარეს სდებს ვორონცოვს.... ვორონცოვი ამ მიზნით მართავდა ბალებს, სალამოებს, იწვევდა თავად-აზნაურებს, რომლებმაც მამულებს დაუწყეს ყიდვა, რომ ფული ჰქონოდათ და ღირსეულად მისულიყვნენ ბალებზე. თავად-აზნაურობის გაღარიბების მეორე მიზეზად ჩვენი თავადი სთვლის სომხებს, სომხის ჩარჩებს და მევახშეებს, რომელნიც ყოვლად უწყალონი და დაცემულნი არიან, ყოველგვარს საშუალებს ხმარობენ, რომ სულ მუქთად ჩაიგდონ ხელში თავად-აზნაურთა მამული; მესამე მიზეზი-კი ბანკების დაარსებაა, რომლებმაც გააიოლეს კრედიტი და ამით გაადვილეს სესხის აღება. „ნუ-თუ უნდა დაიღუპოს ქართველი თავად-აზნაურობა? გვეკითხება თავადი; ნუ თუ რუსეთის მთავრობა დაივიწყებს იმ შესანიშნავ ისტორიულ ფაქტს, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების მეთაურნი იყვნენ თავად-აზნაურები, რომლებიც დღესაც ურთგულესნი მოსამსახურენი არიან მთავრობისაო?" ჩვენს მოსაუბრეს სრული იმედი აქვს, რომ რუსეთის მთავრობა, რომელსაც ამდენი დაუხარჯავს კავკასიისათვის, ახლაც დაეხმარება ქართველ თავად-აზნაურობას, დაიხსნის დღევანდელ ეკონომიურ გაჭირვებისაგან და ფეხზე დააყენებს. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ჩვენს თავადს აზრით საჭიროა სპეციალურ (სამეურნეო) სწავლა-განათლების გავრცელება და თვით-მოქმედებისა სხვა და-სხვა საზოგადოებათა დაარსებითაო.

როგორც ვსთქვით, ქართველი თავადი, როგორც საშინელ მტრებს ისე უყურებს სომხებს; სომხის ვაჭრებს ახასიათებს როგორც

---

*) Верховная власть государства.

ქალაქის გამგეობას გადასდოს მეტი 6,060 მანეთი.

◆ ამა წლის 28 თებერვალს სოფელ სოღანლუღსა და თელეთის მახლობლად, შარა გზაზე, ბოროტ-გამზრახველნი თავს დასცემიან 6 ფურგუნს და გაუძარცვნიათ. მეფურგუნეებს წინააღმდეგობა ვერ გაუწევიათ, რადგანაც უიარაღონი ყოფილან. ბოროტ-მოქმედთ ერთი მათგანი ივანე კობზევი მოუკლავთ. შემდეგ წაუღიათ რამდენიმე თავი შაქარი, რამდენიმე ტომარი ბრინჯითა, ფულად 30 მან. და წასულან. ეჭვი მიუტანიათ ყაზახის მაზრის მცხოვრებ იბრაჰიმ-ხალილ-მუხტი-ოღლი ჰასანოვზე და ისა-ნაზარ-ოღლი-ბინათოვზე, რომელნიც სახაზინო ტყის მცველებად ყოფილან ტფილისის მაზრაში. ეს საქმე განიხილა ტფილისის ოლქის სასამართლომ 30 სექტემბერს და უდანაშაულოდ იცნო ორივე ბრალდებული.

◆ ბაქოშიაც საადრესო სტოლი უნდათ შემოიღონ. ბაქოს ქალაქის გამგეობის ერთ-ერთი წევრი ამ ჟამად ტფილისშია, რომ ადგილობრივ შეისწავლოს, რა რიგად გამართა ეს საქმე ტფილისში.

◆ დღეისთვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია, სხვათა შორის, საქმე მიხეილ რუსიშვილისა, რომელსაც მთავრობის მოხელისთვის სამსახურის აღსრულების დროს შეურაცხების მიყენება ჰბრალდება.

◆ პოლიციის მე-9 ნაწილში გუშინ-წინ პოლიციის მოხელემ დააპატიმრა შაქრო კერვალიშვილი, რომელმაც ამას-წინად ზაქარია ფედოროვს მოჰპარა სხვა-და-სხვა ნივთები. კერვალიშვილი პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ჩვენი საქველმოქმედო საზოგადოება 21 ოკტომბერს კლუბში საცეკვაო სალამოს გამართავს ღარიბთა საავადმყოფოს ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად. სალამოს დიასახლისად „საზოგადოების“ თავმჯდომარე ქ-ნი სმაგინისა იქმნება.

◆ ქურდ-ბაცაცებმა აგვიკლეს. ღამე არ გავა—ვისამე სახლი ან დუქანი არ გასტეხონ. ამ ვაჟბატონებმა ფანჯრებიდან მინების ამოღება შემოიღეს. გასაკვირველი კიდევ ის არის, რომ ქურდობას უფრო მთვარიან ღამეში ჩადიან. ალბად ამათაც გაუგიათ ჩვენი პოლიციის „ფხიზლობა“ და აღარავის აღარ ერიდებიან.

◆ ამ ჟამად თუმცა დიდ-ძალი ღორი იკვლება ქუთაისში, მაგრამ მაინც ძვირად ჰფასობს; გირვანქა ორ შაურად იყიდება მაშინ, როდესაც ღორის ხორცი ამ დროს 7—8 კაპ. ზევით არ ყოფილა და არც უნდა იყოს, თუ რომ გაწესრიგებული იყოს ღორის ხორცი გაჭრობის საქმე.

◆ როგორც იქმნა, ცუდ-ამინდებს თავი დავაღწიეთ: მეორე დღეა აღარ წვიმს. საღამოობით ზენა-ქარი ჰქრის და საგრძნობლადაც სცივა.

◆ 26 სექტემბერს მეორე ქართული წარმოდგენა გაიმართა. ითამაშეს 3-მოქმედებიანი დრამა „ახალგაზდა ქალის სიყვარული“ და 1 მოქ. ვოდევილი „სუსტი მხარე“. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა.

ამის მაზეზად თავ-სხმა წვიმა მივამჩნიეთ, რომელიც ამ საღამოს მოდიოდა, მაგრამ არც 29 სექტემბრის წარმოდგენას დასწრებია საკმაო მაყურებელნი. ამ ღამეს წარმოადგინეს კომედია „უნდა გავეყარნეთ“ და ვოდევილი „ბუტიაობა.“ წარმოდგენამ ამ ღამესაც კარგად ჩაიარა.

◆ 29 სექტემბერს ქალაქის ბაღში გამართული იყო სეირნობა, ქუთაისის გაბრიელის დედათა საეპარქიო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. ბაღში უკრავდა სამხედრო მუსიკა, ბავშვებისათვის სხვა-და-სხვა სათამაშოები იყო გამართული. სეირნობას დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო.

ამავე დღეს, ამავე სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდვე, კლუბში საცეკვაო საღამო იყო დანიშნული. კლუბის დარბაზი მეტად კეკლუცად მორთულ-მოკაზმული იყო ბაირაღებითა და ყვავილებით. საღამოს დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო და ცეკვა თამაშობამ ნაშუაღამევის სამ საათამდე გასტანა. დამსწრენი, როგორც ეტყობოდათ, ნასიამოვნები დაბრუნდნენ შინ.

რუსეთის ქრონიკა

◆ „კანონთა კრებულში“ დაბეჭდილია ინსტრუქცია საქარხნო ინსპექტორების საყურადღებოდ. ინსტრუქცია შეეხება იმ ფულის ხარჯვას, რომელიც დაშავებულ და ავადმყოფ მუშათა სასარგებლოდ ქარხნის პატრონთ ერთმევათ. ამ ფულით შემწეობა უნდა აღმოეჩინოთ იმ ქარხნების მუშებს, რომელნიც საქარხნო ინსპექციას ემორჩილებიან. შემწეობა შეიძლება აღმოუჩინოს როგორც ავადმყოფ და დაშავებულ მუშას, ისე იმის ოჯახს. ერთ-დროული შემწეობა არ უნდა აღემატებოდეს 100 მანეთს, ხოლო თვიური—8 მანეთს.

◆ შეცვლილ იქმნა სააფთიაქო წესდება. ახალის წესდების ძალით, როდესაც რამდენიმე ფარმაცევტი თხოულობს აფთიაქის გამართვის ნებას, უპირატესობა იმათ მიეცემათ, ვისაც აფთიაქი არა ჰქონია ან არა აქვს.

◆ სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამოსარკვევად შემდგარმა კომიტეტმა აარჩია განსაკუთრებული კომისია წვრილ სახალხო კრედიტის საქმის გამოსარკვევად. კომისიის თავმჯდომარედ ტერნერია, წევრებად მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგი სტევენი, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი სტიშინსკი, სახელმწიფო ბანკის გამგე პლესკე და სხვანი.

◆ აზრადა აქვთ მომავალ წელს პეტერბურგში გამართონ აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ამერიკის ნაწარმოებთა გამოფენა. ამ გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ: ოსმალეთი, ინდოეთი, სპარსეთი, სიამა, ჩინეთი, იაპონია, თუნისი, ალჟირი და ამერიკა.

◆ რუსს-ლიტერატორთა და მეცნიერთა ურთ-ერთ დამხმარებელ კასსაში ერთმა წევრმა წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ ლიტერატორთათვის საკრედიტო ამხანაგობა იქმნას დაარსებულიო. ამხანაგობამ უნდა გასცეს წიგნების გირაოზე სესხი, გაჰყიდოს წიგნები და სხვა.

თეატრი

თავად-აზნაურობის თეატრი. ოპერა ლაკმე. მუსიკა დელიბისა. ქ. ვან-დერ-ბრანტის ხმის სიძლიერეს და თამაშობის სავსებით საჩვენებლად სხვა ოპერას ვერც-კი ამოარჩევდნენ. ლაკმეს პარტიის ასასრულებლად ხმაც გაშლილი და ძლიერი უნდა იყოს, კოლორატურაც განვითარებული უნდა, თამაშობითაც დახელოვნებული უნდა იყოს და გარეგნობითაც ლამაზი და მოხდენილი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხმის სიმშრალეს მაღალ ნოტებში, ქალბ. ვან-დერ-ბრანტისა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნილებას სავსებით აკმაყოფილებს და ლაკმეს პარტიის ასრულებით საზოგადოების დიდი თანაგრძობა გამოიწვია. ლაკმეს (ქ. ვან-დერ-ბრანდტისა) და ელენეს (ქ. დობრჟანსკისა) დუეტი პირველ მოქმედებაში იმდენად ლამაზად შეასრულეს, რომ საზოგადოებამ გაამეორებინა. ჯერალდის პარტიას ასრულებდა დენსკი. საკვირველია, ამასთან პასუხ-საგებ პარტიას დენსკის რად აძლევენ, როდესაც დასში სხვა კარგი ტენორები ჰყავთ. არც ნილაკანტა (ჩემეზოვი) იყო თავის ადგილას. ტანთ-საცმელები, მოწყობილება, დეკორაციები მშვენიერი და შესაფერია. ხალხი ბევრი იყო. ამბობენ ბევრი უფასოდ იყოო. როგორც ეტყობა, ამ თეატრშიაც მოიკიდა ფეხი სახაზინო თეატრის სენმა. თუ ოპერაზე მოდიან, მაშასადამე მუსიკის მოსმენა უნდათ და, თუ ასეა—ფულიც უნდა გადაიხადონ. თუ არა და—რა მოვალეა თავ. წერეთელი მუქთი წარმოდგენები ჰმართოს?

—

არტისტიულ საზოგადოების თეატრი. 30 სექტემბერს ბ. კრასოვის დრამატიულმა დასმა წარმოადგინა გენცის ერთ-მოქმედებიანი დრამატიული ეტიუდი „მომხიბლავი ხმები“ და ლატერნერის კომედია „ზაზა“. „მომხიბლავი ხმები“ ლექსად დაწერილი ლამაზ. ეტიუდია. როლები (ორის როლია) უფრო სადეკლარაციოა, თუმცა საჭიროა ორთავე მომქმედმა პირმა ეტიუდის შინაარს შეუფეროს თამაშობაც. ასე რომ ვერას (ქალბ. არმინინისა) და დოლინინს (ბ. ნევერინი) დეკლარაციის დახელოვნებასთან გრძობით სავსე თამაშიც უნდა. ქ. არმინინისა, როგორც ეტყობოდა, ძალიან ჰღელავდა, ამისათვის უფრო სუსტად ჩაატარა თავისი როლი, ვიდრე ბ. ნევერინმა. მეორე პიესაში ზაზას როლს თამაშობდა შატელენისა, რომელმაც მშვენივრად გამოიყვანა პირველ მოქმედებაში „ხელ-გაშლილი“ არტისტკას ტიპი, მეორესა, მესამესა და მეოთხე მოქმედებაში პატიოსანი მოსიყვარულე დედაკაცის ტიპი და უკანასკნელ მოქმედებაში—მტკიცე ხასიათის, მედიდური ადამიანის ტიპი. პიესაში ეს როლი უმთავრესია. დანარჩენები როლებს არ ახდენდნენ. სუსტი იყო დიუფრენი (ბ. გარდინი).

—

დღეისთვის ქართულ თეატრში დანიშნულია წარმოსადგენად კომედია „ცოლს ვეერები“ და ფარსი „მელაძე ადვოკატი“. მონაწილეობას მთელი დასი იღებს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 სექტემბერი

კალუგა. პრემიშლის ერობამ გადასწყვიტა დაეხმაროს მოუსავლობით დაზარალებულ გლეხთ და ამისთვის განზრახვა აქვს გააჩინოს მაზრაში საზოგადო სამუშაო, სახელდობრ—73 სოფელში მიწა ამოითხაროს წყალის დასაგუბებლად.

ეკატერინოსლავი. „პრიდნეპროვ. კრაი“-ს პავლო-გრადიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ სამაზრო ერობამ ერთხმად დაადგინა იშუამდგომლოს საგლეხო სახელმწიფო ბანკის წინაშე, და სთხოვოს იყიდოს თავ. შჩერბატოვის მამული, 17.000 დესეტინა, ადგილ-მამულის სივიწროვით შეწუხებულ გლეხებისათვის.

იმავე გაზეთს ფეოდოსიიდან დეპეშით აცნობებენ, რომ სადგურების უმეტესი ნაწილი აღარ იღებს პურს მატარებლებით ფეოდოსიაში გასაგზავნად; სადგურებზე დიდ-ძალი ხორბალი მოგროვდა. გამგზავნელნი გზათა მინისტრის ჩამოსვლას ელიან და უნდათ სთხოვონ მინისტრს გაგრძელებულ იქმნას სანავთსნო ტარიფის მოქმედება.

რიაზანი. „საგუბერნიო უწყებებში“ გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რომლით გენ.-ადიუტ. ვანოვსკის ეძლევა ქალაქ რიაზანის საპატიო მოქალაქის წოდება.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის მთავრობამ მიჰმართა უცხო სახელმწიფოებს საერთო ნოტათი, რომლითაც სჩივის, ბულგარიის მთავრობა რიგიანად ვერ იცავს საზღვრებსაო და რომ რილსკის მონასტერთან ბულგარიის აფიცრები, რომელთაც ეკავათ მოსაზღვრე სადარაჯო რაზმების უფროსობა, მეამბოხეთა ბრბოებს მიემხრნენო.

კონსტანტინეპოლი. ხედივი ეგვიპტეს წავიდა. როგორც ამბობენ, პეტრიჩთან, სერესის ჩრდილოეთით, შეტაკებულან ოსმალეთის ჯარები და ბულგართა დიდი ბრბოები. ნამდვილი ამბები ამის შესახებ ჯერ არაფერია. ამბობენ, ბულგართაგან 170 კაცია მოკლული, დაჭრილი და ტყვედ წაყვანილი. ოსმალთაგანაც არიან მოკლულნი. გუშინ სალონიკიდან რკინის გზით გაგზავნეს ორი ბატალიონი დელიარ-გისსარში. ჯუმასთან მომხდარ ბრძოლის შესახებ ჯერ ცნობები არ მოსულა.

ვენა. ცეტინიედან მოვიდა დიდი მთავრინა მილიცა ნიკოლოოზის ასული, რომელიც რუსეთს მიემგზავრება.

პეტერბურგი. 29 სექტემბერს საბერძნეთის დედოფალი ოლგა კონსტანტინეს ასული უავგუსტოესის შვილით ქრისტეფორეთი გაემგზავრა სევასტოპოლს, საიდან საბერძნეთს მიდის.

30 სექტემბერს ღამით დიდი მთავარი დიმიტრი კონსტანტინესძე პეტერბურგიდან წავიდა ცხენის მოსაშენებელ სადგურების დასათვალიერებლად.

პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგსკი საზღვარ გარეთიდან ჩამოვიდა და მოსკოვიდან თავის მამულში რამნს წავიდა.

1 ოქტომბერი

ელეცი. ერობის კრებამ მიანდო გამგეობას შეიმუშაოს საერობო ტელეფონის გამართვის პროექტი ქალაქსა და მაზრაში. კერძო კაცის მამულებზე დარჩენილის გადასახადის განაწილებით აღებაზე კრებამ უარი განაცხადა.

ჟენევა. მუშაობას ყველგან შეუდგნენ.

პარიზი. ვითომ იმ მუშებს, რომელნიც გაფიცვაში მონაწილეობას არ იღებდნენ, იარაღი დაურიგესო—ტყუილი ხმებია.

— 30 სექტემბერს ბრადსკი თავის ჰაეროსტატით აფრინდა; ჰაეროსტატი კარგადაც წავიდა, მაგრამ ნავის თოკები დაწყდა. ბრადსკი და იმისი თანამგზავრი მკვდარი იპოვეს.

ნიუ-იორკი. ქვა-ნახშირის საჭიროება დაეტყო. ბევრ ქალაქებში ღარიბებს დაკლებულის ფასით აძლევენ ნახშირს.

შარლრუა. ბელგიის რამდენისამე ქვა-ნახ-

ყოვლად უზნეო, გარყვნილ და უსინიდისო ხალხს. „ნუთუ რუსეთისათვის სასარგებლოაო, რომ მთელი კავკასია გადავიდეს იმათ ხელში, რომელთაც უნდათ ძველის სომხეთის აღდგენა დონის როსტოვიდან ტრაპეზონამდე? ნუთუ კავკასიელი ერები უნდათ დაიმონონ პოლიტიკანმა სომხებმა და ეს შეეფერება რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს?“... საჭიროა. რომ სომხის კაპიტალის მაგიერ რუსის კაპიტალი დამყარდეს კავკასიაშიო.

გაკვრით ჩვენი თავადი შეეხება გლეხებსაც და ამბობს, რომ ჩვენი გლეხი უმიწაწყლოა, გაუნათლებელი და შევიწროვებული ჩარჩებისაგან.

„განათლებულს“ სპარსელს ყველაზე უფრო სპარსეთის პოლიტიკა აინტერესებს და რადგან სპარსეთის პოლიტიკური ცხოვრება ორის ერის—ინგლისისა და რუსეთის გავლენის ქვეშ იმყოფება, იგი ძალა-უნებურად ადარებს ერთმანეთს ინგლისელებს და რუსებს. ინგლისელები მეტად ამაყნი არიან, არასოდეს არ გამოელაპარაკებიან ადგილობრივ მკვიდრს მის სამშობლო ენაზე, თქვენ-კი, რუსები მაშინაც, როდესაც რუსულად ლაპარაკობთ, ცდილობთ ერთი-ორი ადგილობრივი სიტყვა ჩაურთოთ შიგ; რუსები კავკასიაში მღერით ქართულს „მრავალ ჟამიერ“-ს, თუმცა გაქვთ მშვენიერი რუსული სიმღერები; რუსები ირთავთ ცოლებად ადგილობრივ ქალებს. მიუხედავათ ამდენის დათმობისა და შეღავათისა რუსები მაინც რუსებათ რჩებით და კავკასიელები კი რუსდებიანო. საუბრის დასასრულ სპარსელი გულწრფელ სურვილს გამოსთქვამს, რომ რუსეთმა დაიმორჩილოს სპარსეთი.

როგორც უკვე მოვიხსენიეთ თავში ბ. კანადეევს გამოჰყავს ერთი ნაყაჩაღარი თათარიც. ეს თათარი ჯერ ჩვენში ყაჩაღობდა, მერე ოსმალეთში, იქიდან სპარსეთში გადავიდა და იქ მსახურობდა დარაჯად, უკანასკნელის ომის დროს რუსეთის ჯარში გადმოვიდა ჯაშუშათ და ამ ომის შემდეგ დაჯილდოვებულ იქმნა ოფიცრის „ტემლიაკით“. ნაყაჩაღარი თათარი, რასაკირველია, ყაჩაღობა-ავაზაკობაზე ჩამოუგდებს ლაპარაკს ბ. კანადეევს და ერთს მეტად საყურადღებო რჩევას აძლევს, თუ როგორ უნდა მოისპოს კავკასიაში ავ-კაცობა: ამისათვის საჭიროა, რომ ადმინისტრაციას ყოველს სოფელში ყავდეს ადგილობრივი მცხოვრები ჯაშუშათ...

მოისმინა რა კავკასიელების საუბარი, ბ. კანადეევი მოუსმენს ერთს აქაურს რუს-მოხელესაც. რუსი მოხელე უმთავრეს ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ კავკასიაში ძლიერ ცოტაა დასახლებული რუსები; ამ ბოლო დროს შავის ზღვის პირათ დაიწყეს რუსების დასახლებაო, მაგრამ ესეც ვერ არის კარგათ მოწყობილი, საჭიროა, რომ მიწები დაურიგდეს მიწათ-მომქმედ რუსის გლეხებსო. ეხება იმასაც, რომ კავკასიაში ვაჭრობა-მრეწველობაც არა-რუსების ხელშია, და ჰკიცხავს იმ შოვინისტ რუსებს, რომლებსაც თითქმის ძალ-მომრეობა უნდა იხმარონ, რომ წარმოება კავკასელების ხელში არ იყოს. დღესო, ამბობს ჩვენი მოსაუბრე: კავკასიაში სომხის და სხვა კავკასელი ვაჭარი-მრეწველი უცხოელს კაპიტალისტს ებრძვის და არა რუსსაო; ჩვენთვის (რუსებისათვის) უკეთესია დღეს ამ ბრძოლაში კავკასელებმა გაიმარჯვონ, რადგან როდესაც ჩვენ კაპიტალს შევიძენთ, გავნათლდებით, მაშინ ადვილათ შევიძლებთ ჩამოვართვათ ვაჭრობა-მრეწველობა კავკასელებს, როგორც ჩვენზე გაუნათლებელ ხალხსა, და თუ კავკასიაში უცხოელმა კაპიტალისტებმა გაიმარჯვეს, მათთან ბრძოლა ჩვენთვის—რუსებისათვის მძიმე იქნებაო...

ასე ლაპარაკობენ, ასეთები არიან ბ. კანადეევის პირები. იგი ალაპარაკებს სომეხ-მოხელეს, ქართველ-თავადს და სხ. არა როგორც სომეხ-მოხელეს, არამედ როგორც საზოგადოთ სომეხს, არა როგორც ქართველ თავადს, არამედ როგორც საზოგადოთ ქართველს. ჩვენ არ გავარჩევთ ამ პირების ნალაპარაკევს. თვითონ ისინი და მათი სიტყვებიც უკომენტარიოთ გასაგებია მკითხველისათვის.

ისინი არ გვიხატავენ დავერც დაგვიხატავდნენ ჩვენის ცხოვრების სურათს. ბ. კანადეევის სომეხი-მოხელე არ არის მთელის სომხობის აზრის და შეხედულობის გამომხატველი; მის ქართველ თავადს ესმის უპირველესათ თავისი ინტერესი და დასტირის მის გაჭირვებას; ეგევე ითქმის ბ. კანადეევის გამოყვანილ სხვა პირებზედაც, და ცდება ჩვენი ავტორი, თუ ჰგონია, რომ რაიმე მართალს აზრს დაასკვნის მათის სიტყვებიდან...

გალამი

შორის მადანში მუშები გაიფიცნენ, რომ საფრანგეთში ნახშირის გაზიდვას ხელი შეუშალონ.

პალაცოლო. მინისტრად ყოფილმა ლიუცატიმ სიტყვა წარმოსთქვა და საჭიროებად აღიარა ევროპიელთა კონკრესის მოხდენა, რომ სადამოჟნო საქმეები გაარჩიოს, რადგან ეს საქმეები სახელმწიფოებს ერთმანერთს აშორებენო; უნდა გაირჩეს აგრეთვე ტრესტების საქმე, რადგან იგი მომავალში დიდს საშიშს გვიქადისო. ყველა ამის მეთაურობა იტალიამ იკისროსო.

პოლტავა. ხმოსან გოლოვნის მოხსენების თანახმად, პოლტავის მაზრის საერობო კრებამ დაადგინა: საერობო გამგეობას მივანდოთ მომავალ კრებას პროექტი წარმოუდგინოს იმის შესახებ, თუ როგორ გაიმართოს პოლტავის მაზრაში ტელეფონი.

ალექსანდროვსკი. (არხანგელსკის გუბერნიაში). მურმანზე ნამდვილი ზამთარია; მდინარე წყლები და ტბები გაიყინა. 10 გრადუსი სიცივეა. არხანგელსკსა და მურმანს შუა გემით მიმოსვლა შეწყდა.

სიმბირსკი. ვოლგის ნავთ-სადგურების ახლო ნაიდაგმა დაიწია; რკინის გზა 20 საჟნის სიგრძეზე და ხიდი დაინგრა; ქალაქის გზა-ტკეცილი გაფუჭებულია: პერის ამბრებიც საცაა დაინგრევა. დიდი ზარალი მოუვათ ვაჭრებს. მიზეზი ისაა, ვოლგაზე რომ რკინის გზის ტოტს აშენებდნენ, დედამიწის ზედაპირი აიღეს.

არიოლი. 30 სექტემბერს, ღამის 12 საათზე, რიგა—არიოლის რკინის გზის სადგურ კარაჩევზე საქონლის მატარებელი ორთქლ-მავალს დაეჯახა; რამდენიმე ვაგონი დაიმსხვრა; ხუთი კაცი დაიჭრა.

კონსტანტინეპოლი. სალონიკიდანა და სხვა ადგილებიდან ხუთშაბათსა და პარასკევს კიდევ 2000 ოსმალოს ჯარის კაცი გაგზავნეს რკინის გზით ბულგარიის საზღვრისაკენ, იქაურ მეციხოვნე ჯარის საშველად. მაკედონიის უმთავრესმა კომიტეტმა სოფიაში ბძანება გამოსცა, აჯანყებულთ გაზაფხულამდე თავიანთ მოქმედება შეაჩერონო. ამ ბძანებას ყველგან ვერ მიაწვდიან და აჯანყებულთ მოქმედებაც, ეჭვია, რომ შეწყდეს.

პარიჟი. ბოტა, დევეტი და დელარეი ნაშუადღევის 1 საათზე ჩრდილოეთ რკინის გზის სადგურზე მოვიდნენ; დიდ-ძალი ხალხი აღტაცებით დაუხვდა გენერლებს.

ვენა. „ნოიე ფრაიე პრესე"-ს ბელგრადიდან ცნობა მიუღია, მინისტრების კაბინეტი, ნიშში თათბირის შემდეგ, სამსახურიდან გადადგაო.

ბარსელონა. 30 სექტემბერს სამხედრო წესები გააუქმეს.

ხარკოვი. მთა-მადნის მრეწველთა სტატისტიკურ ბიუროს ანგარიშით, წლეულ პირველ ნახევარ წლის განმავლობაში, 310 მილიონ 400 ფუთი ქვა-ნახშირია გამოღებული, შედარებით შარშანდელ პირველ ნახევარ წელში გამოღებულთან—50 მილიონ ფუთით ნაკლები. თუჯი—44 მილიონი ფუთია დამზადებული, 400 ათას ფუთით შარშანდელზე ნაკლები; რკინა და ფოლადი—35 მილიონი ფუთი, სამის მილიონ ფუთით ნაკლები, კოკსი—58 მილიონი ფუთი, 5 მილიონ ფუთით ნაკლები. 18 დომენის ქარხნიდან—14 მუშაობს; 56 დომენის ქურიდან—26. მადაროებსა, მადნებსა ქარხნებში და სხვა სამრეწველო დაწესებულებებში მუშების რიცხვს თითქმის 20 ათასი კაცი დააკლდა. წარმოების შემცირებამ ბევრი მრეწველი დაჰღუპა.

პეტერბურგი. „პრავიტელ. ვესტნიკ"-ში დაბეჭდილია საერო განათლების მინისტრის ზენგერის სიტყვა; ეს სიტყვა მინისტრმა იმ კომისიის პირველ სხდომას დროს წარმოსთქვა რომელსაც უმაღლესს სასწავლებელთა წესების გამოცვლა აქვს დავალებული. ამ სიტყვაში აღნიშნულია იმ პროგრამის უმთავრესი საფუძვლები, რომელიც კომისიამ უნდა განიხილოს. აღნიშნულია აგრეთვე კომისიის მიზანი და მის დადგენილებათა ასრულების რიგი.

„რუსკი ინვალიდ"-ი იუწყება: მთავარ-სარდალი გენერალ-ადიუტანტი დიდი მთავარი ვლადიმირ ნიკოლოზის ძე პეტერბურგს დაბრუნდა და თავისს თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

„ნოვოე ვრემია" იუწყება: სენატმა განმარტა: იმ შემთხვევაში, როცა გლეხი-კაცი თავისს ცოლთან სცხოვრობს და თავისის ხარჯით ინახავს ცოლსა, ქმრის ნება დაურთველად გლეხ-კაცის ცოლი პასპორტს ვერ აიღებს; სხვა შემთხვევაში კი საერობო უფროსს შეუძლია გლეხ-კაცის ცოლს ქმრის დაუკითხავადაც მისცეს პასპორტი. თუ ქმარი ცუდად ექცევა ცოლს, საერობო უფროსს მაშინაც უფლება აქვს გლეხ-კაცის ცოლს პასპორტი მისცეს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, სენატის დადგენილება მოქალაქეთა ცოლებსაც შეეხებაო: მოქალაქეთა გამგეობამ გუბერნატორის ნება-რთვით უნდა მისცეს პასპორტიო.

ტარგოვიშტი. ჯარის პატივსაცემლად გამართულ სადილის დროს მეფე კარლმა სადღეგრძელო წარმოსთქვა. მეფემ გაიხსენა, რომ ჯარმა 25 წლის წინად გაიმარჯვა და დაუმატა, ჯარი ამით ვერ დაკმაყოფილდებაო: ეხლა მეტი მოეთხოვება ჯარსა და ოფიცრებმა ამას იქითაც დაუღალავად უნდა იშრომონო.

პარიჟი. ბურების გენერლებს სადგურზე სენატორი პოლია და პალატისა და პარიზის საბჭოს მრავალი წევრი დაუხვდნენ. პოლიამ წარსული ამბები გაიხსენა და სთქვა, საფრანგეთს მაინც სწამს ბურების ერის მომავალიო. ბოტამ თანაგრძნობისათვის მადლობა გადაუხადა ყველას და სთქვა: იმედი მაქვს ბურები მალე მიიღებენ ავტონომიასო. ბურები ინგლისის ერთგული ქვეშევრდომები იქნებიან, მაგრამ ეს იმას კი არ ჰნიშნავს, რომ ვისმე შეეძლოს ბურებს დაუსჯელად შეურაცხყოფა მიაყენოს (ტაშის ცემა). როცა გენერლები სასტუმროში წავიდნენ, ხალხი აღტაცებით უხვდებოდა. გენერლებს 75 ათასი ფრანკი ჩააბარეს. სადგურზე დევეტმა სთქვა: ჩემის აზრით, იმიტომ მიგვიღეთ ასე კარგად, რომ ზოგიერთ ბურის სისხლში ფრანგის სისხლიც ბევრი ურევიაო. გენერლებმა სადარბაზო ბარათები დასტოვეს ელისეს სასახლეში, სამინისტროებში და პრეფეკტურაში. შინაგან საქმეთა სამინისტროში გენერლები პირველმა მინისტრმა სენატორმა და პოლიამ მიიღეს. დელკასეს გენერლები ცოტა ხანს ელაპარაკნენ. სასახლის ახლო ერთმა ახალგაზდა კაცმა დაიყვირა: „დაიღუპნენ ინგლისელებიო." ეს კაცი მაშინათვე დააპატიმრეს.

პოლტავა. 29 სექტემბერს აქ ჩამოვიდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

ვლადიმირი. საგუბერნიო ერობას ნება მიეცა წიგნების საწყობი გამართოს.

ჩერეპოვეცი. ერობამ საექიმო ნაწილისათვის გადასდო 38 ათასი მან. სახალხო განათლებისათვის—54 ათასი მანეთი. რაც ამ ორსავე საგანს ფული დაუნიშნეს, მთელის აღრიცხვის $45^0/_0$-ია. გუბერნატორმა ნება დართო ხორბლის დასამზადებლად 80 ათას მანეთის სესხი აიღონ.

ხარბინი. ჩინეთის აღმოსავლეთ რკინის გზაზე წესიერი მიმოსვლა ერთის წლით გადაიდო.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის განსაკუთრებული ელჩები ალბად 11 ოქტომბერს გავლენ იალტას.

ლონდონი. ოსმალეთის საელჩო აცხადებს, რომ ტყუილია ის ხმები, ვითომ რუსეთსა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკება იყოს, რუსეთის სამხედრო გემებს დარდანელის სრუტე გაუღონ.

უფა. ერობამ 20 ათასი მანეთი მეტი გადასდო სწავლა-განათლების საქმისათვის. დაშკოვმა გამოაცხადა, რომ 50 ათას მანეთს სწირავს; ამ ფულის სარგებლით სკოლისათვის სახლები უნდა აშენდეს და მასწავლებლებს საჩუქარი და დახმარება უნდა აღმოუჩინონ. კრებამ დაადგინა, ამ თანხას შემწირველის სახელი დაერქვასო.

ელეცი. ერობამ დაადგინა: ვიშუამდგომლოთ არაყზე ბაჟას დადების ნება მოგვეცეს, ვედრაზე ათი შაური, და ეს ფული სწავლა-განათლებას მოვახმაროთო. ქალაქსა და მაზრას წარსულ წელს 154 ათასი ვედრა არაყი დაულევია.

ბელგრადი. ვუიჩის კაბინეტის სამსახურიდან გამოსვლა გამართლდა. ხვალ ნიშიდან მეფეს მოელიან და მაშინ გადაწყდება ეს საგანი.

ნიუ-იორკი. ვილემსტადტიდან იტყობინებიან, რომ გენერალ კასტროსის ჯარი, 4.100 კაცი 15 ზარბაზნითა, და მეამბოხენი 6 ათას კაცამდე 22 ზარბაზნითა, დილით შეეტაკნენ ერთმანეთს ვიქტორიას ახლო. ვალენსიაში ზარბაზნების ხმა ისმოდა. კასტროსას დასახმარებლად კარაკასიდან სწრაფის მატარებლით ვიცე-პრეზიდენტი გომეცი გავიდა რვაასის კაცით და დიდ-ძალის სურსათით.

სოფია. „ბულგარიის სააგენტო" იტყობინება, რომ მაკედონელთა კომიტეტის მოქმედების მცოდნენი ამტკიცებენ, ვითომ მეამბოხენი მდინარე სტრუმას მარცხენა ნაპირს მიჰყვებიან და ისეთი ადგილი დაუჭერიათ, რომ აღმოსავლეთის გზა შიშში უნდა იყოსო. მეორეს მხრით კომიტეტის თავმჯდომარე სარაფოვი ამტკიცებს, მთელი მოძრაობა მხოლოდ იმით გამოიხატება, რომ პატარა ბრბოები აქა-იქ დადიან.

პარიჟი. ნამდვილის წყაროდან იტყობინებიან, რომ ბურების გენერლების მინისტრ დელკასესთან ყოფნას ოფიციალური მნიშვნელობა სრულიად არ ჰქონდათ. კომბთან მხოლოდ რამდენსამე წუთს გაგრძელდა ბაასი. გენერლებმა მადლობა გადაუხადეს იმ უხვობისათვის, რომელიც საფრანგეთმა გამოიჩინა ომიანობისაგან დაზარალებულთა შესაწევნად. გენერლებს სადილი გაუმართეს და ამ დროს მოიტანეს ვერცხლის ნიშნები, რომლის ცალ მხარეს კრიუგერის სახე იყო გამოყვანილი, მეორეს-კი ორთავე რესპუბლიკის ალეგორიული გამოსახულება იყო. დევეტმა სთქვა, არასოდეს თოფს ხელს არ მოვკიდებ,' რადგან მორიგების ხელ-შეკრულობაზე ხელი მომიწერიაო. ბოტამ ის აზრი გამოთქვა, რომ სამხრეთ აფრიკის რიგიანად მართვა-გამგეობა მხოლოდ სამხრეთ-აფრიკელებს შეუძლიათ.

პეტერბურგი. რადგან უცხოეთის გაზეთები „ჰავასის სააგენტო"-ს დეპეშის წყალობით, რომელიც 23 სექტემბერს იერუსალიმიდან მიუღია, სხვა ნაირად იწყებენ ამბის ახსნას, „რუსეთის სააგენტო" დაეკითხა „სტეფანის სააგენტო"-ს რომში და იმისგან მიუვიდა შემდეგი დეპეშა: „ლომბარდიელი მლოცველნი, კარდინალის ფერარის მეთაურობით, მოვიდნენ აქ იტალიის საელჩოს თარჯიმანით; მათ მიეგება იტალიის კონსული, რომელმაც კარდინალს წარუდგინა სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და საკონსულოს თარჯიმნები. მოსვლის დროს მუსიკამ იტალიის სახალხო ჰიმნი დაუკრა. ვითარცა პრინცს, კარდინალს სამხედრო წესით და პატივისცემით მიეგებნენ. კარდინალი კონსულთან ერთად ეტლში ჩაჯდა. მლოცველნი, კარდინალი და კონსული მაცხოვრის კუბოს ეკკლესიაში მივიდნენ, სადაც დაუხვდნენ კათოლიკეთა კონსულები. მაცხოვრის კუბოს მფარველმა და კარდინალმა სიტყვები წარმოსთქვეს. გუბერნატორი სადარბაზოდ იყო კარდინალთან".

გაზ. „კრონშტადსკი ვესტნიკ"-ი იუწყება: ჩინეთის იმპერატორმა ბრძანება გამოსცა, რომ რუსეთის სამზღვრებთან მდებარე ჩინეთის ადგილებში რუსულის ენის სწავლისათვის სკოლები გაიმართოსო. ჩინეთის წარჩინებულთა შვილები რუსეთს გაიგზავნებიან, რომ იქ მოემზადონ ამ სკოლებში რუსულის ენის სწავლებისა და წინამძღვრობისათვის.

2 ოქტომბერი

ბერლინი. ბოტამ ბერლინის კომიტეტს აცნობა, რომ ბურების გენერლები ხუთშაბათს მივლენ ბერლინს, იქ დარჩებიან შაბათამდე, რადგან საჭირო საქმეები ინგლისისაკენ იწვევენ მათ; მერე-კი ისევ გერმანიას დაუბრუნდებიან, რომ იქ ქალაქებში სიტყვები წარმოსთქვან.

პეკინი. საფრანგეთისა და ინგლისის რამდენსამე საზოგადოებას კონცესია მიეცა ნავთისა, ნახშირისა და რკინის მადნების დასამუშავებლად სუჩუანის 16 ოლქში.

კონსტანტინეპოლი. მონასტრის ვილაეტში, კრუშევასთან, ოსმალებმა ბულგარიის ბრბო დაამარცხეს. 10 ბულგარელი მოკლულია.—სალონიკიდან და სხვა ადგილებიდან დედეაგაჩს გავიდა 2.350 ოსმალოს ჯარის კაცი. სალონიკსა და კონსტანტინეპოლს შუა ტელეგრაფის მავთულები დაჰგლიჯეს ბულგართა ბრბოებმა.

პარიჟი. ბოტა და დევეტი ქალაქის სამმართველოში მივიდნენ, სადაც სამართველოს წევრი დამნუე მიეგება მათ გრძნობიერის სიტყვით. გზაში ხალხი აღტაცებით ესალმებოდა გენერლებს.

კირასო. ვენეცუელის მთავრობამ დააგდო ქალაქი კარაკასი. ლოსტესიდან იტყობინებიან, რომ გენერალი კასტრო ჩამწყვდეული ჰყავს გენერალ მატოსის ჯარსა. გაჭირვებული მდგომარეობაა.

ბერლინი. გაზ. „რაიხს ანცაიგერ"-ი იუწყება, რომ მთავრობამ ზოგ რკინის გზის საზოგადოებას წინადადება მისცა, სახელმწიფოს დაუთმეთ თქვენი გზაო. ამათ შორისაა აღმოსავლეთ პრუსიისა და სამხრეთის გზები, აგრეთვე მარიენბურგიდან მლავკაზე მიმავალიც.

ნიუ-იორკი. ვილემსტადტიდან იტყობინებიან, რომ მთავრობამ დააგდო ქალაქი კარაკასი იმის შიშით, რომ მეამბოხენი თავს დაესხმიანო. მთავრობა, საფიქრებელია, უარს ეტყვის უცხო ქვეშევრდომთა ზარალის შევსებაზე.

პარიჟი. პალატა გაიხსნა. ბოდრი დ'ასონმა მოითხოვა, სამინისტრო სამართალს მიეცეს კანონის იმ დარღვევისათვის, რომ კონგრეგაციების სკოლები დაჰკეტაო. 414 ხმის უმეტესობით წინაადმდეგ 53-სა ამაზე უარი სთქვეს. კომბის წინადადების თანახმად, პალატამ დაადგინა განხილულ იქმნას სკოლების შესახებ ყველას საკითხებით—და კიდეც შეუდგნენ ამას.

საბერძნეთის მეფე მოვიდა აქ.

უტრეხტი. კრიუგერი მენტონს წავიდა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

ქუთაისში

ცამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—4)

ზის

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
ვერის მოედანზე, ყაფანთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.).
ტელეფონი № 754 (წ.).

ცინკოგრაფია

ყოფილ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ახალი სახურავი,

რომელზედაც პატენტია აღებული

[illegible]

1901 წლის გამოფენა

ფაბრიკა და საცინკო ქარხანა

ი. შელენგოვსკის და ამხანაგობისა

ბათუმში.

დიდხანს გამძლეობი და იაფი სახურავი

არ ჟანგდება, არ ლპება, ცეცხლისაგან დაცულია და ადვილად დასახურავია.

პლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალულ რკინისა.

პრეის-კურანტი მოთხოვნისთანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.

ამხანაგობის წარმომადგენელნი:
ტფილისში **გ. მულიარსკი**
(ერევნის მოედანზე № 25)
ქუთაისში **ვ. ჭილაძე**
(ტფილ. ქუჩა საკუთ. სახ.) (50—37)

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ, (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).